

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა შპს გეო-ფლაუერი

პერიოდი: 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე

AG International Consulting
Member of Prime Global
Audit & Business Advisory Services

AGIC

certified member



PrimeGlobal

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე..	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
1. ძირითადი საქმიანობა	11
2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება.....	11
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები	18
4. ძირითადი საშუალებები	19
5. მარაგები	20
6. წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.....	20
7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	20
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	20
9. ნასესხები სახსრები	21
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	21
11. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	21
12. თვითღირებულების ხარჯები	21
13. რეკლამის და დისტრიბუციის ხარჯები.....	21
14. ადმინისტრაციული ხარჯები	22
15. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები.....	22
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	23
17. კაპიტალის მართვა	24
18. ფუნქციონირებადი საწარმო.....	24
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24
20. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება.....	24

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „გეო-ფლაუერი“-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის „-ს შესაბამისად“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი“ („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოაზიადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
მინდია ხუციძე

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
კახა მოისწრაფიშვილი

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „გეო-ფლაუერი“-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი“ („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი
მინდია ხუციძე

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
კახა მოისწრაფიშვილი

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გეო-ფლაუერი“-ს მენეჯმენტს და მეწილეებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გეო-ფლაუერი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი „ფასს“ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

შპს გეო-ფლაუერი-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და გაცემული ავანსები 818,702 ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,968,787 ლარი). ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული აქტივის და მასთან დაკავშირებული ანარიცხის დასადასტურებლად.

ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში ვერ მოხერხდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება, რომ დაგვედასტურებინა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის გადაფასების რეზერვის მუხლის სისწორე. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით არსებული გადაფასების რეზერვის მუხლის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2,261,749 ლარის ღირებულებით (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,261,749 ლარი).

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პაუსხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ ჩვენ და გამოვთქვით უპირობო მოსაზრება 2024 წლის 27 სექტემბერს.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი

იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განზრახვულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის და ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი

პასუხისმგებლობა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
შპს ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
SARAS-F-344253
PrimeGlobal -ის წევრი
2025 წლის 30 სექტემბერი

თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი
SARAS-A-913906

პასუხისმგებლობა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
შპს ეიჯი ინტერნაციონალ კონსალტინგი
SARAS-F-344253
PrimeGlobal -ის წევრი
2025 წლის 30 სექტემბერი

თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი
SARAS-A-913906

თ. ჩაგელიშვილი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა 31 დეკემბერი 2024 31 დეკემბერი 2023

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	4	8,884,379	8,334,296
არამატერიალური აქტივები		2,395	2,395
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,886,774	8,336,691

მოკლევადიანი აქტივები

მარაგები	5	2,166,064	2,202,996
წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	6	736,422	575,464
გაცემული ავანსები		241,128	234,345
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	577,574	1,734,442
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	4,641,563	3,932,302
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,362,751	8,679,549

სულ აქტივები		17,249,525	17,016,240
---------------------	--	-------------------	-------------------

კაპიტალი და ვალდებულებები

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		123,730	123,730
სარეზერვო კაპიტალი		130	130
გადაფასების რეზერვი		2,261,749	2,261,749
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		10,836,124	10,055,978
სულ კაპიტალი		13,221,733	12,441,587

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები

ნასესხები სახსრები	9	-	362,565
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	362,565

მოკლევადიანი ვალდებულებები

ნასესხები სახსრები	9	176,212	-
გადასახდელი მოგების გადასახადი		647,830	537,270
მიღებული ავანსები		2,665,932	3,552,866
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	537,818	121,952
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,027,792	4,212,088

სულ ვალდებულებები		4,027,792	4,574,653
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,249,525	17,016,240

დირექტორი
მინდია ხუციძე

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
კახა მოისწრაფიშვილი

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები	-		
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,884,379	8,334,296
არამატერიალური აქტივები		2,395	2,395
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,886,774	8,336,691
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	2,166,064	2,202,996
წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	6	736,422	575,464
გაცემული ავანსები		241,128	234,345
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	577,574	1,734,442
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	4,641,563	3,932,302
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,362,751	8,679,549
სულ აქტივები		17,249,525	17,016,240
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		123,730	123,730
სარეზერვო კაპიტალი		130	130
გადაფასების რეზერვი		2,261,749	2,261,749
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		10,836,124	10,055,978
სულ კაპიტალი		13,221,733	12,441,587
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	-	362,565
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	362,565
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	176,212	-
გადასახდელი მოგების გადასახადი		647,830	537,270
მიღებული ავანსები		2,665,932	3,552,866
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	537,818	121,952
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,027,792	4,212,088
სულ ვალდებულებები		4,027,792	4,574,653
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,249,525	17,016,240



დირექტორი
მინდია ხუციძე

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
კახა მოისწრაფიშვილი

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან თვითღირებულების ხარჯები	11 12	9,884,913 (4,701,973)	11,364,381 (6,575,102)
საერთო მოგება		5,182,940	4,789,279
სხვა საოპერაციო ხარჯები		(134,507)	(61,750)
რეკლამის და დისტრიბუციის ხარჯები	13	(583,394)	(446,997)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,389,334)	(3,410,194)
საოპერაციო მოგება		1,075,705	870,338
ფინანსური შემოსავალი		115,322	66,256
ფინანსური ხარჯები		(1,408)	(12,440)
წმინდა საკუროსო მოგება/(ზარალი)		115,757	41,628
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		400,168	90,087
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(302,363)	(229,113)
მოგება დაბეგვრამდე		1,403,181	826,756
მოგების გადასახადის ხარჯი		(110,559)	(121,316)
მოგება გადასახადის შემდეგ		1,292,622	705,440
წმინდა მოგება		1,292,622	705,440

დირექტორი
მინდია ხუციძე

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
კახა მოისწრაფიშვილი

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	11	9,884,913	11,364,381
თვითღირებულების ხარჯები	12	(4,701,973)	(6,575,102)
საერთო მოგება		5,182,940	4,789,279
სხვა საოპერაციო ხარჯები		(134,507)	(61,750)
რეკლამის და დისტრიბუციის ხარჯები	13	(583,394)	(446,997)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,389,334)	(3,410,194)
საოპერაციო მოგება		1,075,705	870,338
ფინანსური შემოსავალი		115,322	66,256
ფინანსური ხარჯები		(1,408)	(12,440)
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)		115,757	41,628
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		400,168	90,087
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(302,363)	(229,113)
მოგება დაზღვრამდე		1,403,181	826,756
მოგების გადასახადის ხარჯი		(110,559)	(121,316)
მოგება გადასახადის შემდეგ		1,292,622	705,440
წმინდა მოგება		1,292,622	705,440



დირექტორი
მინდია ხუციძე

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
კახა მოისწრაფიშვილი

30 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	ჯამურად
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,956,554	272,605	130	2,261,749	12,491,038
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	705,440	-	-	-	705,440
კაპიტალის შემცირება	-	(148,875)	-	-	(148,875)
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	705,440	(148,875)	-	-	556,565
დივიდენდის გამოცხადება	(606,016)	-	-	-	(606,016)
ოპერაციები აქციონერებთან/დამფუძნებლებთან	(606,016)	-	-	-	(606,016)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,055,978	123,730	130	2,261,749	12,441,587
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	1,292,622	-	-	-	1,292,622
კაპიტალის შემცირება	-	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	1,292,622	-	-	-	1,292,622
დივიდენდის გამოცხადება	(512,476)	-	-	-	(512,476)
ოპერაციები აქციონერებთან/დამფუძნებლებთან	(512,476)	-	-	-	(512,476)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,836,124	123,730	130	2,261,749	13,221,733

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	1,403,181	826,756
კორექტირებები:		
ცვეთა	572,911	526,739
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(115,757)	(41,629)
საპროცენტო ხარჯი	1,408	12,442
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	1,861,743	1,324,308
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	1,187,085	(499,640)
ცვლილება მარაგებში	36,932	2,033,387
ცვლილებები წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(160,958)	(7,845)
ცვლილებები გაცემულ ავანსებში	(6,721)	(116,115)
ცვლილებები გადასახდელი მოგების გადასახადში	110,560	121,316
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(755,904)	(601,033)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	415,195	(282,223)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,687,932	1,972,155
გადახდილი მოგების გადასახადი	(110,559)	(121,316)
გადახდილი პროცენტი	(1,408)	(12,440)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,575,965	1,838,399
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,499,708)	(728,006)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	1,376,714	109,134
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,122,994)	(618,872)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოძინება მიღებული სესხებიდან	52,000	323,000
მიღებული სესხების დაფარვა	(238,353)	(174,287)
დივიდენდების გადახდა	(512,476)	(606,016)
საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვა	-	(148,875)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(698,829)	(606,178)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	754,142	613,349
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(44,881)	133,546
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,932,302	3,185,407
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,641,563	3,932,302

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „გეო-ფლაუერი“ (ს/ნ: 242574585) დაარსდა 2007 წლის 10 ივლისს იურიდიულ მისამართზე საქართველო, ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ., N2. მარეგისტრირებული ორგანო ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია. კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საჩაიე მასალის წარმოება და რეალიზაცია.

კომპანიის მეწილეები არიან:

- მამუკა ხუციძე, 49001001039 – 17,5%
- მინდია ხუციძე, 01007003597 – 17,5%
- გოჩა ძნელაძე, 33001009298 – 17,5%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება MB Beteiligungs GmbH, HRB 5403 (გერმანია/) – 47,5%.

კომპანიის დირექტორი არის მინდია ხუციძე, 01007003597.

კომპანია ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

შპს მონთი (ს/კ 422937889) – 100% წილი, თუმცა კომპანია არ არის აქტიური.

2025 წლის 24 აპრილიდან - შპს იბერია ფრუიტს (ს/კ 400121462) – 24,8%.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირველადი გამოყენების ზოგადი პირობები

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894	3.0976
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753	2.7020
ლარი/1 გირვანქა სტერლინგი	3.5349	3.4228	3.2581
ლარი/100 რუსული რუბლი	2.5405	2.9916	3.6770

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ძირითადი საშუალებები გარკვეული ჯგუფები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ჰქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება. გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვეყნება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობები: 5%
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა: 8 – 20%
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი: 20%
- სატრანსპორტო საშუალებები: 20%
- მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები - 20%
- სხვა ძირითადი საშუალებები - 15%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან

(ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო ღირებულებით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური

აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული ფინანსური აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთ ხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებისა და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებას (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) კომპანია გაიღებს ხარჯებს კვალიფიცირებულ აქტივზე; (ბ) კომპანია მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) კომპანია განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეჭვქაშა არსებითაა, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან

შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი/მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება ადებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, ადებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება ადებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები, კერძო დაზღვევა და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთნაირად განხორციელების განზრახვა.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს კომპანიაში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ნარგავები	დაუმთავ რებელი წარმოება	შენობა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა, ავტო და სხვა ინვენტარის ცვეთა	მანქანა- დანადგარ ები	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება										
ბალანსი 31.12.2022	2,801,086	7,072	1,602	2,750,791	33,480	1,918,774	691,861	101,692	35,343	8,341,701
შემოსვლა	-	-	-	311,295	6,297	207,000	203,414	-	-	728,006
გასვლა	-	-	-	-	-	-	(109,134)	-	-	(109,134)
ბალანსი 31.12.2023	2,801,086	7,072	1,602	3,062,086	39,777	2,125,774	786,141	101,692	35,343	8,960,573
შემოსვლა	1,247,764	-	-	656,811	1,584	362,885	230,016	648	-	2,499,708
გასვლა	(1,286,404)	-	-	(27,910)	-	-	(62,400)	-	-	(1,376,714)
ბალანსი 31.12.2024	2,762,446	7,072	1,602	3,690,987	41,361	2,488,659	953,757	102,340	35,343	10,083,567
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება										
ბალანსი 31.12.2022	-	-	-	(8,093)	(10,811)	(1,413)	(22,605)	(40,484)	(16,132)	(99,538)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(1,602)	(137,261)	(5,424)	(223,357)	(143,973)	(12,242)	(2,880)	(526,739)
ბალანსი 31.12.2023	-	-	(1,602)	(145,354)	(16,235)	(224,770)	(166,578)	(52,726)	(19,012)	(626,277)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	-	(171,364)	(4,876)	(247,476)	(135,569)	(11,380)	(2,246)	(572,911)
ბალანსი 31.12.2024	-	-	(1,602)	(316,718)	(21,111)	(472,246)	(302,147)	(64,106)	(21,258)	(1,199,188)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
ბალანსი 31.12.2022	2,801,086	7,072	1,602	2,742,698	22,669	1,917,361	669,256	61,208	19,211	8,242,163
ბალანსი 31.12.2023	2,801,086	7,072	-	2,916,732	23,542	1,901,004	619,563	48,966	16,331	8,334,296
ბალანსი 31.12.2024	2,762,446	7,072	-	3,374,269	20,250	2,016,413	651,610	38,234	14,085	8,884,379

5. მარაგები

მარაგები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	1,874,236	1,916,040
ნედლეული და მასალები	210,644	207,550
საწვავი	47,050	28,791
საქონელი	34,134	50,615
სულ მარაგები	2,166,064	2,202,996

6. წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დამატებითი ღირებულების გადასახადი	2,688,956	2,472,851
საშემოსავლო გადასახადი	(1,543,505)	(1,562,321)
ქონების გადასახადი	(309,322)	(254,590)
მიწის გადასახადი	(80,701)	(63,585)
იმპორტის გადასახადი	(11,421)	(11,297)
საგადასახადოს მიერ დარიცხული საურავი	(5,594)	(5,594)
აქციზის გადასახადი	(1,991)	-
სულ წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	736,422	575,464

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	670,101	1,835,835
გადახდილი პენსია	16,387	7,187
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	335
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(108,914)	(108,915)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	577,574	1,734,442

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	4,034,677	2,634,342
ლარები საბანკო ანგარიშებზე	603,620	1,280,938
ნაღდი ფული სალაროში	3,266	17,022
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,641,563	3,932,302

9. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიღებული გრძელვადიანი სესხები	-	362,565
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	362,565
მიღებული მოკლევადიანი სესხები	176,212	-
სულ ნასესხები სახსრები	176,212	362,565

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	508,168	103,726
გადასახდელი პენსია	29,650	18,226
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	537,818	121,952

11. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან

შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	9,884,913	11,364,381
სულ შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	9,884,913	11,364,381

12. თვითღირებულების ხარჯები

თვითღირებულების ხარჯები	2024 წელი	2023 წელი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ხარჯები	4,391,292	6,287,145
საექსპლუატაციო ხარჯები	301,734	284,263
საწარმოო ხარჯები	7,727	3,694
სხვა თვითღირებულების ხარჯები	1,220	-
სულ თვითღირებულების ხარჯები	4,701,973	6,575,102

13. რეკლამის და დისტრიბუციის ხარჯები

რეკლამის და დისტრიბუციის ხარჯები	2024 წელი	2023 წელი
სატრანსპორტო ხარჯები	431,132	331,340
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	152,262	115,657
სულ რეკლამის და დისტრიბუციის ხარჯები	583,394	446,997

14. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2024 წელი	2023 წელი
ხელფასის ხარჯები	1,903,450	1,770,004
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	570,080	525,137
საწვავის ხარჯები	383,590	360,018
მომსახურების ხარჯები	173,678	213,928
კომუნალური ხარჯები	79,195	126,562
საგადასახადო ხარჯები	99,783	112,661
მიწისა და საწარმოს იჯარის ხარჯები	7,335	75,455
მივლინების ხარჯები	34,305	61,399
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	11,946	39,693
დაზღვევის ხარჯები	36,097	35,685
ავტომობილების იჯარის ხარჯები	32,250	34,250
საპენსიო ხარჯები	29,962	30,582
ბანკის ხარჯები	10,230	11,264
კომუნიკაციის ხარჯები	12,836	10,198
გეზ-ის მომსახურების ხარჯები	2,400	2,500
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები	2,197	641
ტრანსპორტირების ხარჯები	-	217
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	3,389,334	3,410,194

15. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

გირავნობა

კრედიტორი : სს 'საქართველოს ბანკი' (საქართველო) 204378869

საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხ. გირავნობის ხელშეკრულება)

საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, №519634-ე

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია „მსს ფასს“-ში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- (ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- (გ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024	მიღებული ავანსები
უმადლესი ხელმძღვანელობა	2,665,364
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2,665,364
ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	მიღებული ავანსები
უმადლესი ხელმძღვანელობა	3,552,522
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	3,552,522

ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2024	საპროცენტო ხარჯი	დივიდენდი
უმადლესი ხელმძღვანელობა	-	512,476
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	-	512,476

ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2023	საპროცენტო ხარჯი	დივიდენდი
უმადლესი ხელმძღვანელობა	11,953	606015.95
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	11,953	606,016

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2024 წელი	2023 წელი
უმადლესი ხელმძღვანელობა	231,901	198,521
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	231,901	198,521

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

18. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

კომპანიის მიმდინარე ოპერაციების გარდაუვალი საფრთხე არ არსებობს. გარდა ამისა, არ არსებობს სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების ან კომპანიის საქმიანობის არსებითად შეზღუდვის განზრახვა.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

2025 წლის 24 აპრილის სამეწარმეო ამონაწერის მიხედვით, შპს „გეო-ფლაური“ ფლობს 24.8% -იან წილს შპს იბერია ფრუიტს-ში (ს/კ 400121462).

2025 წლის 1 იანვრიდან აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული საკითხის გარდა კომპანიაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები,

20. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

შპს გეო-ფლაუერი

მმართველობითი ანგარიშგება და 2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

ჩვენს შესახებ

კომპანია

შპს გეო-ფლაუერი („კომპანია“) დაარსდა 2007 წლის 10 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები და მფლობელები არიან:

შპს MB Beteiligungs GmbH, HRB 5403 /გერმანია/- ფლობს კომპანიის წილის 47.5 %-ს

გოჩა ძნელაძე, პ.ნ 33001009298, ფლობს კომპანიის წილის 17.5 %-ს

მამუკა ხუციძე, პ.ნ 49001001039, ფლობს კომპანიის წილის 17.5 %-ს

მინდია ხუციძე, პ.ნ 01007003597, ფლობს კომპანიის წილის 17.5 %-ს

დირექტორი - მინდია ხუციძე, პ.ნ 01007003597

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ., N2.

შპს გეო-ფლაუერი 100%-იანი წილის უფლებით ფლობს შპს მონტი-ს (ს.კ. 422937889), რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2022 წლის 22 თებერვალს.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს გეო-ფლაუერი ბაზარზე 2007 წლიდან ფუნქციონირებს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ხილის ჩირის და ჩაის წარმოება, ხილის გადამუშავება, ხილის ჩირით და ჩაით ვაჭრობა. კომპანია აწარმოებს 25 დასახელების პროდუქციას. მილენიუმის რეგიონის განვითარების პროგრამის ფარგლებში ქალაქ ამბროლაურში მცირე საწარმომ ყოფილი საკონსერვო ქარხნის ტერიტორიის შეძენა შეძლო. USAID-ის დახმარებით კომპანიამ დანადგარები შეიძინა, ხოლო ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში ახალი საწარმო აშენდა, რომლის ფილიალი დღეს უკვე ახალციხეშიც არსებობს.

კომპანიის ძირითადი გაყიდვები ხორციელდება გერმანიაში, თურქეთში, პოლონეთსა და რუსეთში, რაც გაყიდული პროდუქციის 98%-ს შეადგენს, ხოლო წარმოებული პროდუქციის 2% იგზავნება გურიელის ჩაიში ხილის ჩაის საწარმოებლად. კომპანია შეკვეთას მყიდველისგან იღებს სეზონის დაწყებამდე. წარმოება გამომდინარეობს შეკვეთის მოცულობიდან. კონსიგნაციის პერიოდია საშუალოდ ერთი თვიდან-ორმოც დღემდე. კომპანიის საქმიანობას სეზონურობა არ ახასიათებს. წლის განმავლობაში 11 თვე აქტიურად

ახორციელებს საკუთარ საქმიანობას. კომპანია ხილის ჩირებსა და სამკურნალო დანიშნულების მცენარეებს დანამატების გარეშე აწარმოებს, შესაბამისად მათი მიმართულებაა ორგანული პროდუქტის წარმოება.

კომპანიის ექსკლუზიური პარტნიორი მსოფლიოში ცნობილი ჩაის მწარმოებელი ფირმა „მარტინ ზაუერია“. ამ საერთაშორისო კომპანიის დახმარებით, ყოველწლიურად „გეო-ფლაუერს“ გერმანიაში 400 ტონა საჩაიე ხილის ჩირი და ბალახეულობა შეაქვს. „გეო-ფლაუერი“ ფლობს საერთაშორისო სტანდარტს ISO 22000:2005 -ს, ასევე „კავკასსერტი“-სა და „Fair Wild“-ის ბიო სერტიფიკატებს.

კომპანიამ 2022 წელს დაარეგისტრირა შვილობილი კომპანია „მონთი“, რომელიც პრემიული ხარისხის ჩაის აწარმოებს. კომპანია აღჭურვილია 500 კვტ სიმძლავრის მზის ელ-სადგურის მოწყობილობით, რაც ელექტროენერგიის დანახარჯს 100 %-ით ამცირებს. საწარმოს პროდუქცია გათვლილია ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისათვის, სადაც მოითხოვება პროდუქტები, რომლებიც უმეტესწილად განახლებადი ენერგიით არის ნაწარმოები.

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს კომპანიამ მიიღო 10,713,222 ლარის შემოსავალი, რაც 651,159 ლარით ნაკლებია 2023 წლის მაჩვენებელზე. ამის ძირითადი მიზეზი არის ის რომ, 2024 წლის საექპორტო შემოსავლები შემცირდა წინა წელთან შედარებით.

წარმოგიდგენთ ფინანსურ კოეფიციენტებს რომელიც მიუთითებს 2024 წლის და 2023 წლის შედეგებზე.

	2024	2023
მომგებიანობის კოეფიციენტები		
სარეალიზაციო მოგების მარჟა	56%	45%
საოპერაციო მოგების მარჟა	13%	7%
წმინდა მოგების მარჟა	10%	6%
უკუგება კაპიტალზე	9%	12%
უკუგება აქტივებზე	7%	4%
ლიკვიდურობის კოეფიციენტები		
ლიკვიდობის კოეფიციენტი	2.25	2.02
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	2.25	1.48
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.70	0.99

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ

შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	740.115	1.951.897
ფული და ფულის ექვივალენტი	4641562	3.935.604
სულ საკრედიტო რისკი	5.381.677	5.887.501

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოირიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს ჯგუფი არ იყენებს.

ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2024 და 2023 წლების მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	USD 1 = 2.8068 GEL	EUR 1 = 2.9306 GEL	USD 1 = 2.6894 GEL	EUR 1 = 2.9753 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2.800.757	1.233.902	702.666	1.931.714
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	232.320	196.853	1.304.387	303.025
სულ ფინანსური აქტივები	3.033.077	1.430.755	2.007.053	2.234.739
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	2.665.364	-	3
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	2.665.364	-	3
სულ წმინდა პოზიცია	3.033.077	(1.234.609)	2.007.053	2.234.736

		1 იანვარი 2023	
		USD 1 = 2.7020 GEL	EUR 1 = 2.8844 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		689.691	1.344.814
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1.088.118	2.916
სულ ფინანსური აქტივები		1.777.809	1.347.130
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-	4.095.053
სულ ფინანსური ვალდებულებები		-	4.095.053
სულ წმინდა პოზიცია		1.777.809	(2.747.923)

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის “მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები”, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც “კაპიტალი”, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ სესხები	176.212	362.565
ფული და ფულის ეკვივალენტები	(4.641.562)	(3,935,604)
წმინდა სესხები	(4.465.950)	(3,573,039)
სულ კაპიტალი	(13.211.204)	(12,438,794)
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	-33.80%	-28.72%

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა

ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული, რომ მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის - დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება - გაუარესების გარეშე.

რაც შეეხება კომპანიის საოპერაციო გარემოს, 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და ტოვებს სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან გაიტანა. ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ამ ეტაპზე ამ და შემდგომი მოვლენების გავლენა კომპანიის სამომავლო ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ძნელად პროგნოზირებადია.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და შესაბამისი ღონისძიებების მეშვეობით ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ეკონომიკური და პოლიტიკური ტურბულენტობის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

დირექტორი
მინდია ხუციძე

ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული, რომ მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის - დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება - გაუარესების გარეშე.

რაც შეეხება კომპანიის საოპერაციო გარემოს, 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და ტოვებს სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან გაიტანა. ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ამ ეტაპზე ამ და შემდგომი მოვლენების გავლენა კომპანიის სამომავლო ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ძნელად პროგნოზირებადია.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და შესაბამისი ღონისძიებების მეშვეობით ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ეკონომიკური და პოლიტიკური ტურბულენტობის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

დირექტორი
მინდია ხუციძე

